ტანდ №1
31-W02-1176/m
04.07.18

გამოყენების ინსტრუქცია პაციენტისათვის

პროსტამედი

ტაბლეტი

PROSTAMED

აღნიშნული სამკურნალო საშუალების მიღების წინ ყურადღებით წაიკითხეთ ეს ფურცელ-დანართი!

შეინახეთ ეს ფურცელ-დანართი, შესაძლებელია თქვენ ხელმეორედ დაგჭირდეთ მისი წაკითხვა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი ექიმის ან ფარმაცევტისაგან. თუ საჭიროდ ჩათვლით, მიმართეთ მათ რჩევისთვის.

სამკურნალო საშუალების შემადგენლობა

აქტიური ნივთიერება: გოგრის თესლის ფხვნილი, ცხიმგაცლილი 200 მგ; გოგრის თესლის ფხვნილი გასუფთავებული ექსტრაქტი, ცხიმგაცლილი, (5 – 10:1), ექსტრაგენტი: ნატრიუმის ჰიდროკარბონატი/სუფრის მარილი/გასუფთავებული წყალი (3/6,1/90,9) – 100 მგ; ოქროსწკეპლას მშრალი ექსტრაქტი (5 – 8:1) ექსტრაგენტი: ეთანოლი 60 მოც.% - 2,6 მგ; ვერხვის ფოთლების მშრალი ექსტრაქტი (5 – 8:1), ექსტრაგენტი: ეთანოლი 60 მოც.% - 6,3 მგ;

სხვა ინგრიდიენტები (დამხმარე ნივთიერებები): ლაქტოზას მონოჰიდრატი, კალციუმის ჰიდროფოსფატი, კაკაოს ფხვნილი, საქაროზა, ჟელატინი, გლიცერინი 85%, პოვიდონი K25, სილიციუმის მაღალდისპერსული ოქსიდი, ტალკი.

სამკურნალო ფორმა.

საღეჭი ტაბლეტები.

ძირიღადი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ყავისფერი, მრგვალი ტაბლეტები ამოზნექილი ზედაპირით.

ფარმაკოთერაპევტული ჯგუფი.

საშუალებები, რომლებიც გამოიყენება წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის დროს. ATC კოდი: G04CX.

ჩვენებები.

შარდვის დარღვევები წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის (ადენომის) I-II სტადიის დროს: შარდვის გაძნელება, ხშირი შარდვა, მათ შორის, ღამის განმავლობაში, შარდის ბუშტის არასრული დაცლის შეგრძნება (ნარჩენი შარდის

არსებობა), მოშარდვის დაუძლეველი სურვილი. მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი (კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში).

უკუჩვენება.

მომატებული მგრძნობელობა მოქმედი ნივთიერებების, რთულყვავილოვანი ოჯახის მცენარეების, სალიცილატების ან რომელიმე სხვა ელემენტის მიმართ.

დაავადებები, რომლების დროსაც რეკომენდებულია სითხის მიღების შემცირება, მაგ., გულის და თირკმელების მძიმე დაავადებები.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან.

პროსტამედის სხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთმოქმედება ამ მომენტისთვის არ არის შესწავლილი.

უსაფრთხოების ზომები.

დაავადების გახანგრძლივებული სიმპტომების ან გვერდითი მოვლენების შემთხვევაში, რომლებიც არ არის მითითებული დანართში, მიმართეთ კონსულტაციისთვის ექიმს. ექიმის კონსულტაცია განსაკუთრებით საჭიროა შარდში სისხლის გამოჩენისას, საშარდე გზების ინფექციებისას, შარდვის დარღვევის გამწვავებისას ან შარდის მწვავე შეკავებისას.

ბავშვებში და 18 წლამდე ახალგაზრდებში პროსტამედის გამოყენების შესახებ არ არსებობს საკმარისი კლინიკური კვლევები. ამიტომ პროსტამედი არ უნდა იყოს გამოყენებული ბავშვებში და 18 წლამდე ასაკის მოზარდებში.

ისეთი იშვიათი მემკვიდრეობითი თვისებების მქონე პაციენტებმა, როგორიცაა გალაქტოზას აუტანლობა, ლაქტაზური უკმარისობა, ფრუქტოზის აუტანლობა, გლუკოზა-გალაქტოზის მალაბსორბცია ან საქაროზა-იზომალტოზური უკმარისობა, არ უნდა მიიღონ პროსტამედი.

ორსულობა და ლაქტაცია

ორსულობის და ძუძუთი კვების პერიოდში უსაფრთხოება არ არის შესწავლილი. ამიტომ პროსტამედის გამოყენება არ არის რეკომენდებული ორსულთათვის და მეძუძური დედებისთვის.

გავლენა ავტოტრანსპორტის მართვის ან სპეციალურ მოწყობილობებთან მუშაობაზე.

გავლენას არ ახდენს.

დოზირების რეჟიმი და გამოყენების ხერხი.

მოზრდილებში გამოიყენება 2-4 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ტაბლეტები უნდა დაიღეჭოს, უნდა დააყოლოთ სითხის საკმარისი რაოდენობა (სასმელი წყლის დაახლოებით ¼ ლ).

პრეპარატის გამოყენების ხანგრძლივობა 4 კვირაა.

გვერდითი მოვლენები.

ერთეულ შემთხვევებში შესაძლებელია კუჭის აშალა, გულისრევა, ღებინება და ფაღარათი. ამის გარდა, შეიძლება წარმოიშვას ალერგიული რეაქციები, ისეთი როგორიცაა გამონაყარი, ქავილი, ენის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და ხახის შეშუპება. რაიმე გვერდითი მოვლენის გამოვლენისას პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს და საჭიროა მიემართოს ექიმს.

ვარგისობის ვადა.

3 წელი.

ვარგისობის ვადა გახსნის შემდეგ 3 თვეა.

არ გამოიყენოთ პროსტამედი შეფუთვაზე მითითებული ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ.

შენახვა.

შეინახეთ არა უმეტეს 25 °C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისგან დაცულ ადგილას.

შეფუთვა და შიგთავსი.

60, 120, 200 ტაბლეტი მოთავსებულია პლასტიკურ ტუბებში. თითო ტუბი შეფუთულია ფურცელ-დანართთან ერთად მუყაოს კოლოფში.

გაცემის წესი.

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებელი.

დრ. გუსტავ კლიაინ გმბხ და კო. კგ,

შტაინენფელდი 3, 77736, ცელ ამ ხარმერსბახ, გერმანია.